## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №03-08/25

ქ. ქობულეთი 01 თებერვალი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა" (შემდგომში - შემსყიდველი), (ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. #154), მისი დირექტორის დავით მჭედლიშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „მაი მობაილ+" ს/კ 205294705, დირექტორის ზურაბ ბოკერიას სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელი – ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი "–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **საკუთარი სახსრებით და საკუთარი (ვაუჩერული) სახსრებით** კოლეჯის ფარმაცევთის თანაშემწის №11 საბიუჯეტო ჯგუფისათვის და ბანკის ოპერატორის №13-ე საბიუჯეტო ჯგუფის სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის დანართი №1-ით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვა, დანართი №1 წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 5250.00 (ხუთიათასორასორმოცდაათ) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

### 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ზედნადების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

### 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" დირექტორის 2014 წლის 05 თებერვალს №01-05/18 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კონტროლის განმახორციელებელი ისპექტირების კომისია.

5.3 მოწოდებული საქონელის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.6 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

### 6. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, მიწოდების ადგილია ქ.ქობულეთი რუსთაველის ქუჩა №154;

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონელის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის და ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად საქონელის მიწოდება.

### 8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ფარგლებში საქონლის მოწოდების ინსპექტირებას ახორციელებს საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" დირექტორის 2014 წლის 05 თებერვალს №01-05/18 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კონტროლის განმახორციელებელი ისპექტირების კომისია.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

### 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**12. გარანტია**

12.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ჩანაცვლება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე, საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხარისხს რაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

12.2 მოწოდებულ საქონელს გააჩნია ერთ წლიანი გარანტია.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 01 ივლისის ჩათვლით.

**14. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები**

14.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა #154;

14.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22, საიდენტიფიკაციო კოდი 246954620;

14.3 „შემსყიდველი" – სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა".

15. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქ.თბილისი ალ.ყაზბეგის №9, 0160

15.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი"

ა/ა GE03TB3486736020100009;

15.3 „მიმწოდებელი"–შპს მაი მობაილ+ ს/კ 205294705, დირექტორი ზურაბ ბოკერია, ტელ: 2308642, 2945588;

„შემსყიდველი" - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა".

კოლეჯის დირექტორი: დავით მჭედლიშვილი

მიმწოდებელი:დირექტორი: ზურაბ ბოკერია,

დანართი 1

| პროდუქციის დასახელება | დანაყოფის კოდი | განზომილება | რაოდენობა | ფასი | ჯამი | წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვერი NP Proliant ML 10 v2 e3-1220 v3 16GB-U B1 20i 4lff 2 x 1 TB NHB 350W | 48822000 | ცალი | 1 | 4950 | 4950 | საკუთარი |
| მიკროსკოპიCelestron Amoeda Dual Digital Microscope 44328 | 38510000 | ცალი | 1 | 300 | 300 | ვაუჩერი |
| ჯამი | | | | | 5250 | |

შემსყიდველი დავით მჭედლიშვილი

მიმწოდებელი ზურაბ ბოკერია

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ქობულეთი 01.02. 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ, შპს ,,მაი მობაილ+'' -თან ს/კ 205294705, 2016 წლის 01 თებერვალს გაფორმებული №03-08/25 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის

„ახალი ტალღა“ დირექტორი: დავით მჭედლიშვილი

ინსპექტირების კომისია:

- კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძე ------------------------------------------
- თავმჯდომარის მოადგილე კახა ბოლქვაძე ------------------------------------------
- კომისიის წევრი ჭაბუკი ვერულიძე ------------------------------------------
- კომისიის წევრი მალვინა ჯიჯავაძე ------------------------------------------
- კომისიის წევრი ნათია ტაკიძე ------------------------------------------
- კომისიის წევრი ზაზა მეგრელიძე ------------------------------------------
- კომისიის წევრი ნინა ბეჭვაია ------------------------------------------
- კომისიის წევრი რომან მემარნე ------------------------------------------
- კომისიის წევრი ბიჭიკო ჯინჭარაძე ------------------------------------------

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2014 წლის 05 თებერვალს №01-05/18 ბრძანების და 2016 წლის 01 თებერვლის №01-04/08 ბრძანების საფუძველზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერის და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულებების პირობების კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტირების კომისის **აქტი**

ქ.ქობულეთი 09.02. 2016 წელი

ინსპექტირების კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძე, ინსპექტირების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კახა ბოლქვაძე, ინსპექტირების კომისიის წევრი მალვინა ჯიჯავაძე, კომისიის წევრი ნათია ტაკიძე, კომისიის წევრი ზაზა მეგრელიძე, კომისიის წევრი ნინა ბეჭვაია, კომისიის წევრი რომან მემარნე, კომისიის წევრი ჭაბუკი ვერულიძე.

ინსპექტირების ჯგუფის წევრები ქვემოთ ხელმოწერებით ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 01 თებერვალს შპს ,,მაი მობაილ+’’-სთან ს/კ 205294705, გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №03-08/25 ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელდა საქონლის მოწოდება, რომლის მთლიანმა ხელშეკრულების და მოწოდებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 5250.00 (ხუთიათასორასორმოცდაათი) ლარი, მოწოდება განხორციელდა ქ.ქობულეთი რუსთაველის ქუჩა №154, საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა ხელშეკრულების პირობები და ვადები დაცულია, ინსპექტირების კომისიას მიმწოდებლის წინაშე რაიმე პრეტენზიები არ გააჩნია, მოწოდებული საქონლის ხარისხი და რაოდენობა აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

ინსპექტირების კომისია:

- კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძე ----------------------------------------
- თავმჯდომარის მოადგილე კახა ბოლქვაძე ----------------------------------------
- კომისიის წევრი ჭაბუკი ვერულიძე ----------------------------------------
- კომისიის წევრი მალვინა ჯიჯავაძე ----------------------------------------
- კომისიის წევრი ნათია ტაკიძე ----------------------------------------
- კომისიის წევრი ზაზა მეგრელიძე ----------------------------------------
- კომისიის წევრი ნინა ბეჭვაია ----------------------------------------
- კომისიის წევრი რომან მემარნე ----------------------------------------
- კომისიის წევრი ბიჭიკო ჯინჭარაძე ----------------------------------------

მიღება-ჩაბარების აქტი №03-08/25

ქ.ქობულეთი ----09 თებერვალი---- 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთისმხრივ შემსყიდველი სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ 2014 წლის 05 თებერვალს №01-05/18 ბრძანების და 2016 წლის 01 თებერვლის №01-04/08 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კონტროლის განმახორციელებელი ისპექტირების კომისია თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძე, მოადგილე კახა ბოლქვაძე, კომისიის წევრი ჭაბუკი ვერულიძე, კომისიის წევრი მალვინა ჯიჯავაძე, კომისიის წევრი ნათია ტაკიძე, კომისიის წევრი ზაზა მეგრელიძე, კომისიის წევრი ნინა ბეჭვაია კომისიის წევრი რომან მემარნის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,მაი მობაილ+'' ს/კ 205294705, დირექტორის ზურაბ ბოკერიას სახით ვადგენთ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 2016 წლის 01 თებერვალს გაფორმებული **№03-08/25** ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და შემსყიდველს მიაწოდა ხელშეკრულებაში დანართ №1-ში მითითებული საქონელი სახელშეკრულებო თანხა და მოწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს 5250.00 (ხუთიათასორასორმოცდაათ) ლარს, ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში, ხელშეკრულების პირობები და ვადები დაცულია.

შესყიდვის ობიექტი ჩააბარა:

1. დირექტორი

/ზურაბ ბოკერია/

-------------------

შესყიდვის ობიექტი მიიღო:

1. სსიპ საზ.კოლეჯი ,,ახალი ტალღა“
ინსპექტირების კომისია

კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძე ----------------------------------

მოადგილე კახა ბოლქვაძე ----------------------------------

კომისიის წევრი მალვინა ჯიჯავაძე ----------------------------------

კომისიის წევრი ნათია ტაკიძე ----------------------------------

კომისიის წევრი ბიჭიკო ჯინჭარაძე ----------------------------------

კომისიის წევრი ზაზა მეგრელიძე ----------------------------------

კომისიის წევრი ნინა ბეჭვაია ----------------------------------

კომისიის წევრი რომან მემარნე ----------------------------------

კომისიის წევრი ჭაბუკი ვერულიძე----------------------------------

კორექტირების თარიღი: 09/02/2016 17:20:20

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0220416996 |
|---|---|---|

| 2 | 09/02/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 16:03:49 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს მაი მობაილ + | 205294705 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

(დღგ-ს გადამხდელი)

| 5 | სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ახალი ტალღა | 246954620 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | ქ.თბილისი მიცკევიჩის 27გ |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | ქ. ქობულეთი რუსთაველის ქ. #154 |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | საზ.ტრანსპორტი |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | X |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი |
|---|---|

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სერვერი NP Proliant ML 10 v2 e3-1220 v3 16GB-U B1 20i 4lff 2x1 TB NHB 350W | 02302 | კომპ | 1.0000 | 4950.0000 | 4950.0000 |
| 2 | მიკროსკოპი Celestron Amoeda Dual Digital Microscope 44328 | 02303 | ცალი | 1.0000 | 300.0000 | 300.0000 |

| 13 | 5250 - ხუთი ათას ორას ორმოცდაათი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 10/02/2016, 09:53:40